მოგესალმებით,

მოგახსენებთ, რომ შეთანხმებული გრგ-ს თანახმად განხორციელდა (01.14.05.005.112) საკადასტრო ერთეულზე დასაგეგმარებელი შენობისთვის მიწისნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2 -ის 3,7 მდე გადამეტება. როგორც გრგ -ს ისე მოქმედი ზონით განზაზღვრული კოეფიციენტი შეადგენს კ-2 = 3,5 შესაბამისად გადამეტება განხორციელდა 20%-იანი საშეღავათო მაჩვენებლის ფარგლებში. და არ საჭიროებს მოსაკრებლის გადახდას. აგრეთვე ვტვირთავ მერიის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ბრძანებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-44

„2" თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისში, მინდელის ქ. №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.005.112) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 01 თებერვლის №60-0118032922 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, მინდელის ქ. №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.005.112), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3.7.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე